



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 5

„19” „07” 2018წ

**დადგენილება № 19**

პოეზიის სახალხო დღესასწაულთან - შოთაობასთან დაკავშირებით, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“-ს ლიტერატურული კონკურსისთვის თანხის გამოყოფის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. პოეზიის სახალხო დღესასწაულთან - შოთაობასთან დაკავშირებით, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“-ს ლიტერატურული კონკურსისთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მეორე პრემიის დასაფინანსებლად გამოიყოს 625 (ექვსასოცდახუთი) ლარი.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გაეგზავნოს შესაბამის სამსახურს.
4. საფუძველი: გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“-ს რედაქტორის ავთანდილ ბერიძის 2018 წლის 18 ივნისის N17 წერილი; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ. თათეშვილის მიმართვა N4 18 00802501 (25/06/2018).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე